სახალხო გაზეთი

№ 1160 შაბათი, 12 აპრილი 1914 წ. № 1160

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტის ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში — მორსკაია 11, ვარშავაში — მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში — ბირჟის ოედონი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში — 75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი — 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის „სახალხო გაზეთზე“

(სურათებიანი დამატებით)

წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ: 1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.

წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.

მისამართის გამოცვლილი 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ. ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ П. Ящ. 190

ახალი კლუბი

შაბათს, 12 აპრილს,

სათეატრო საღამო

ქართულ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, ქართ. სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების, ქართ. დრამატ. საზოგად. და ქართუ ფილარმონიულ საზოგად. მონაწილეობით გაიმართება

საღამო-მეჯლისი

რუსის ცნობილ მგოსან კონსტანტინე ბალმონტის პატივსაცემლად. დასაწყ. სღ. 8-ნახევარ ს. ◆ ადგილ. ფასი: ბენუარის ლოჟა — 4 მ., პირდაპირი ბელეტ. — 3 მ. გვერდის ლოჟები — 2 მ., პარტერი — 1 მ. 50 კ. ქანდარა ხელმისაწვდომია ყველასათვის 40—20 კ. კლუბში შესასვლელს სტუმ. იხდიან კაცი 50 კ., ქალი და სტუდენტ. 25 კ. დაწვრილებით პროგრამებში. 1095

დიდი ცირკი ფ. ა. სუპატოვისა

მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.

შაბათს, 12 აპრილს, დანიშნულია

უდიდესი წარმოდგენა.

მთელის დასის მონაწილეობით და ცირკის დირექტორ ფ. ა. იუპატოვის მეთაურობით. თანამედროვე განთქმულ მუზიკალ. ექსცენტრიკების ბატონი ბ-ნი როზენისა. გამოსვლა ევროპაში ცნობილ გამოჩენილ ჯამბაზ როსინის ოჯახისა, რომელნიც შეასრულებენ ერთგვარ და არაჩვეულებრივ სიტამარტილს. ლოჟე ახალი კარლი-ბალეტი დაჯილდოვებულ მზეთ-უნახავის ქ-ნ ელენე იუპატოვის ხელმძღვანელობით.

ცირკის დირექტორი ფ. ა. იუპატოვი. გამგე ლ. მ. ხუნდაძე.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 235

ქ. ქუთაისი
ბოლოზოვის ქუჩა საკ. სახლი.

ქ. ქუთაისი
ბოლოზოვის ქუჩა საკ. სახლი

პალტზე დამყარებული ამხანაგობა

„ს. მ. პირაქტოვი და გ. გ. სუბანოვი“

თომას კვირაში 14, 15, 16, 17, 18 და 19

აპრილს ნიშნავს

დიდ იაფ ვაჭრობას

სეზონიდან დარჩენილ საქონლებისას. 1149

ზედამხედველი კომიტეტი

მიხეილის სახელობის არსებულ

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ

ბანკის რწმუნებულთა მორიგი

საზოგადო კრება

დანიშნულია 1914 წ. მაისს 11-ს, დილის 10 ს., ბანკის სადგომში.

მე-89 §-ის მიხედვით, კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს.

რწმუნებულთა კრება განიხილავს:

1) 1913 წლის ანგარიშს, ზედამხედველ კომიტეტისა, გამგეობისა და დამფასებელ კომიტეტის მოხსენებებით.
2) გამგეობას მოხსენებას 1913 წ. ანგარიშების მიხედვით მოგების განაწილებაზე.
3) ბანკის მსახურთა საპენსიო კასის ანგარიშს.
4) ბანკის წესდების ზოგიერთ §§-ის შეცვლა და შევსება.
5) გამგეობის მოხსენება ბანკზე დარჩენილ მამულების თაობაზე.
6) ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის გამგეობის შეერთებულ სხდომის მოხსენება ბანკისთვის შენობის აგების თაობაზე.
7) ბანკის ხარჯთ-აღრიცხვა 1914 წლისა.
8) ბანკში მსახურთა შტატის შემუშავება.
9) არჩევნები გამგეობისა, ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის წევრის კანდიდატისა, ნაცვლად მორიგეობით გასულთა. 1147

გრიშაშვილის საღამო

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 23 აპრილს, 1914 წ. გაიმართება საყურადღებო სალიტერატურო, სამხატვრო და სამუსიკო

საღამო-მეჯლისი

ხუთ განყოფილებად

1) ლექცია, 2) ქართული ოპერეტა, 3) დივერტისმენტი, 4) ცოცხალი სურათები, 5) საკონცერტო განყოფილება.

I. ლექცია ბარონ ტიძიძისა.

II. ტასო აბაშიძის, დ. მგალობლიშვილის და სხვ. მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ქართულად ოპერეტა

ქორწინების წინ

მხიარული ოპერეტა 1 მოქ. მუსიკა ყიფშიძისა, თარგ. ვახო აბაშიძისა ორკესტრი „ახალი კლუბისა“ მ. მ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

III. მოთხრობები, ლექსები, ესკიზები და შარჟები. აკაკი, ნინო ორბელიანი, ილ. ელეფთერიძე, კ. მაყაშვილი, თაგუნა, იოს. მაჭავარიანი, ა. წერეთელი, ირ. ევდოშვილი, ალ. იმედაშვილი, ნ. ერისთავი და ი. გრიშაშვილი.

IV. ცოცხალი სურათები

ალ. ყაზბეგის „ელისო“-დან, დასდგამს ალ. წუწუნავა. მონაწილეობენ: სახალხო სახლის სცენის მოყვარენი და თანამშრომელნი

V. საკონცერტო განყოფილება.

მონაწილეობენ: დ. აკოფაშვილი, ოსიკო ბარათაშვილი, ქ-ნი ა. ადლიძე, დ. ლეჟავა, კ. ცხომელიძე, ი. სადირაშვილი, ტრიო (ნ. კავსაძე, ნ. ჩაგუნავა, ვ. ჩიკურაშვილი) დასასრულ ვ. აბაშიძე და ნ. გოცირიძე იმღერებენ „ვაი-ვუის“ ხმაზე საამდროვო კუპლეტებს.

დაწვრილებით პროგრამებში. ◆ დასაწყისი საღამოს სრულ 8½ საათზე. აკომპანიმენტს დაუკრავენ: ს. სტრახოვ-სალავეიჩიკისა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია (პარტერი 50 კ. 3. გალერია 20 კ. 40 კ.)

ბილეთები ამ თარიღით იყიდება მხოლოდ თეატრის კასაში. 1142

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობორისა და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვრიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მეხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

ბინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან. ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606“, „914“. 1088

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქაშუეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითა სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. მაღალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12. მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ს. ფიდოროვი ი. გ. ყოველ დღე 11—12 კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	მერკვილაძე ი. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1. ფირალოვი რ. გ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი მირზოევა-ფირალოვისა ლ. ყოველ დღე 11—12. თაქთაქიშვილი ი. ი. ყოველ დღე 1—2. მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ფიდოროვი გ. ს. ყოველ დღე 11—2. კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ნერვიულ სნეულებ. და ელექტ.	ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. ფონდოევი გ. ს. ყოველ დღე 1—2.
ყელ-ყურის და ცხვირ.	ათანასიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	მუსხელიშვილი მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი სასყიდლით. წ. 1070

დაიბეჭდა და იყიდება

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამოცემა

ი. გრიშაშვილი

წიგნში მოთავსებულია დღემდე დაწერილ-დაბეჭდილი ყველა ლექსი. ფასი ერთი მანეთი

ტფილისში წიგნი ისყიდება — ქ. შ. წ. კ. გ. წიგნის მაღაზიაში, (სასახლის ქუჩა) და კიკნაძის სავაჭროში (სახაზინო თეატრის პირდაპირ). საწყობი გრ. რცხილაძესთან, ოლღას შესახვ. № 5. 1141

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

1094

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, კორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი — ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი — ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი — ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი — შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი — ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი — შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 12—1 ს.

ვაშაკიძე — შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური — 50 კაპ.

წამლობა „914“ და „606“.

1023

სანატორიუმი „რუსულ დავოსი“,

აბასთუმანში.

გულხუხტებისა, სისხლ-ნაკლებთა, დაქანცულთა და ფილტვების სნეულებით ახლად დაავადებულთათვის. საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მერძეობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მოვლით და სხვა თვეში 150—250 მ. ◆ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სანატორიუმის დირექტორს ექიმს გ. მეზრაბიანცს, 1 მაისამდე ქ. ტფილისში, ბებუთოვის ქ., № 23. 1 მაისის შემდეგ — აბასთუმანში. ზღვისზედაპირიდან 1273 მეტ. ტფ. გუბ. ტელეფონი № 7—92. 1087

საზურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალი ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12, აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 1011

ქ. გორში (დოქტორანტი).

ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის ?. 1050

ექიმი ს. გ. მამრაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალთა და სამშობ. სნეულებანი).

ავადმყოფებს მიიღებს ნაშუადღევის 1—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ვერის დაღმართი სახლი № 5. ბინა 5. 1244.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ. გასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხ. ს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სადგომ-განყოფ. პირდაპირ. 1080

ექიმი პავლე არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი შ. ა. მიქელაძე

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

ექიმი ქალიშვილი ნინო რცხილაძე,

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ტფილისი, 12 აპრილი

სიღნაღის საქალაქო არჩევნები. მალე სიღნაღში საქალაქო არჩევნები მოხდება. მართალია სიღნაღი პროვინციის ქალაქია, მისი ყოველ-დღიური ინტერესები თითქოს ნაკლებად აინტერესებს ყოველთვის „დიდი საქმეებით“ დაინტერესებულ ტფილისის ქართველ საზოგადოებას, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, თითქოს ამ პატარა ქალაქების შინაური საქმეები ისეთი პატარა იყოს, რომ საზოგადოებამ ყურადღება არ მიაქციოს. პირ-იქით, ვინც ჩვენი ცხოვრების განვითარებას თვალ-ყურს ადევნებს, უსათუოდ კარგად უნდა ჰხედავდეს, რომ სოფელი და სოფლის ცენტრები—სამაზრო ქალაქები ისეთი ელემენტებია, რომლებიც დიდმნიშვნელოვან როლის ითამაშებენ ეკონომიური ცხოვრების განვითარების საქმეში. ამიტომ, როდესაც ასეთს ქალაქებში საზოგადოებრივი ხასიათის მოვლენა ჰხდება, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ეს არის არა მარტო ადგილობრივი, არამედ ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეც.

ყველაფერი ის, რაც სიღნაღის საქალაქო არჩევნების გამო დღემდისა ჰხდებოდა და რაც დღესა ჰხდება, ბევრის მხრით არის საინტერესო. აღსანიშნავია, მაგალითად, ის გარემოება, რომ დღემდის სიღნაღში, როგორც საზოგადოდ ყველა ამნაირ ქალაქში, ქალაქის საქმეებს სათავეში ედგა ერთი და იგივე ელემენტი, მოკლებული ყოველ-გვარ საზოგადოებრივ ინიციატივას და შემოქმედებას. ქალაქი და ქალაქის საქმეები მესვეურთა რაღაც ოჯახურ საქმედ იყო გადაქცეული. არავინ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, რა ჰხდებოდა თვითმმართველობაში, რა მნიშვნელობა აქვს მას და როგორ შეუძლიანთ ისარგებლონ მცხოვრებლებმა ამ დაწესებულებით. შეიკრიფებოდნენ ვაჭრები, ამოირჩევდნენ თავიანთ წრიდან რამდენიმე კაცს, ესენი თავის მხრით მოურაობას ჩააბარებდნენ რომელიმე ადგილობრივ ცოტად თუ ბევრად მოხერხებულ ადამიანს და საქმეც ამითი თავდება.

ამ ჟამად სურათი სრულიად შეიცვალა. სიღნაღში გაჩნდა ინტელიგენტთა ჯგუფი, რომელმაც ცოტა სიცოცხლე შეიტანა სიღნაღის ატბორებულ ცხოვრებაში. სულ მოკლე ხანში დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილება, საურთიერთო ნდობის ბანკი და სხვა—დაწესებულებანი. თქმა არ უნდა, ყველა ეს საქალაქო არჩევნებზედაც იმოქმედებდა. მართლაც, მომავალმა არჩევნებმა ფართო საზოგადოება დააინტერესა; ისიც კი, ვისაც დღემდის არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა, რა არის საქალაქო თვითმმართველობა, დღეს შეგნებულად მოქმედობს და ჰსურს აქტიური მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. სიღნაღს აკვრია მთელი უბნები, რომლებიც საქალაქო გადასახადს იხდიდნენ, მაგრამ კანონით მინიჭებულ უფლებებით კი არ სარგებლობდნენ. დღეს ესენიც ერევიან საქმეში და ჰსურთ, თავიანთი მონაწილეობით მეტი სიცოცხლე შეიტანონ საქალაქო საქმეებში.

მაგრამ ამ ბუნებრივსა და საზოგადო საქმეებისათვის სასარგებლო სურვილს წინ გადაეღობა წინააღმდეგობა წინანდელი მესვეურებისა, რომელნიც, ალბად, ნასიამოვნები არ დარჩნენ, რომ „მათს“ შინაურ საქმეებში ახალი, განსაკუთრებით დემოკრატიული ელემენტი ერევა. მათ მოისურვეს ძველი გავლენის შენარჩუნება და ამ მიზნის მისაღწევად არავითარ საშუალებას არ მოერიდნენ. ჩვენს მკითხველებს, უეჭველია, ეხსომებათ, რომ სიღნაღის ძველმა მესვეურებმა ორ საარჩევნო უბნადაც გაჰყვეს ქალაქი და ამასთანავე ერთად ქალაქის დემოკრატიულს ნაწილს, მიუხედავად იმისა, რომ იქ **მეტი** ამომრჩეველი იყო, **ნაკლები** ხმოსანი მისცეს. ცხადი და ნათელი გაჰხდა ყველასთვის, რაც ასულდგმულებდა მათ და ვის წინააღმდეგაც იყო მიმართული ასეთი დანაწილება. ამ დემოკრატიულ ნაწილში ქართველთა უღარიბესი ამომრჩევლები შედიოდნენ და სწორედ იმათ ინტერესების გასაქელვადაც გამოიგონეს ასეთი ხრიკი. ოდესღაც ეს ვაჟბატონები ინტერნაციონალურ სამოსელშიაც იყვნენ გამოწყობილნი და ქვეყანას ძმობასა და ერთობას უფიცებდნენ. მაგრამ, როდესაც სიღნაღის ღარიბმა ქართველობამ ინიციატივა გამოიჩინა და ქალაქის საქმეებით დაინტერესდა, არამც თუ მუშტი უჩვენეს, ხელოვნურის საშუალებით მათი კანონიერი უფლების გაქარწყლებაც კი მოისურვეს.

ამ გარემოებამ ძალიან ბევრს აუხილა თვალი და დაარწმუნა, რომ საჭიროა სრული განახლება საქალაქო თვითმმართველობისა, საჭიროა ახალი ხალხის არჩევა, რომ ჭაობი ცოტათი მაინც შეინძრას და მოშხამული საზოგადოებრივი ატმოსფერა გაიწმინდოს.

ამ მიზნით ირაზმება სიღნაღის დემოკრატიული ნაწილი. მას არა ჰსურს გარეშე მაყურებლის როლში დარჩეს. ვნახოთ, რას მოგვიტანს არჩევნები.

ქართული პრესა

„**ჩვენს ერში**“ თ. ღლონტი წერილს უძღვნის რუსის მუშებისა და გლეხების ხელოვნურად გადმოსახლებას და დამკვიდრებას საქართველოში და იმ მავნებლობას, რომელიც მოსდევს ამ გადმოსახლებას ადგილობრივ მკვიდრთათვის:

„ქართველი ხალხის თანამედროვე ვითარება ისეთია, რომ საქართველოს სოციალ-ეკონომიური ასპარეზი თვით მშრომელ ქართველ ხალხისათვის არის საჭირო და პირდაპირ შეუძლებელია ხელოვნურად გამრავლებამ და გაძლიერებამ უცხო ეთნოგრაფიულის ჯგუფისამ არ გამოიწვიოს დაცემა და დაქვეისკნელება ქართველი ხალხის მწარმოებელი ძალების ინტერესებისა. ჩვენში მეტად მცირეა მამული, თითქმის არ არის მრეწველობა. საჭიროა მამულის ხელ-ახალი მოწესრიგება, რეფორმა და მრეწველობის შექმნა, რომ საქართველოში განვითარებულ იქმნას მწარმოებელი ძალის შემოქმედება, რომ გაძლიერებულ იქმნას ქართველ პროლეტარიატის ხმა. მაგრამ რუსეთის სახელმწიფოს ზომებით კი ჩვენში მცირდება, როგორც ჩვენი მამული, ისე ეროვნული მრეწველობა. ეცემა აბსოლიუტურად ქართულ სოფელ-დაბების მეურნეობა-მრეწველობა და პირიქით, მაღლა მიდის რუსული ახალშენების ეკონომიური კეთილდღეობა.. ქართველი პროლეტარიატი საჭიროებს საქართველოს ეკონომიკის გაძლიერებას, რაიცა აუცილებელია თვით ქართველ მუშათა კლასის ბედნიერებისათვის. საქართველო უცხოელთათვის კი არ უნდა არსებობდეს, არამედ, პირველ ყოვლისა თვით ქართველთა მოდგმისათვის და აგრედვე საქართველოს წინსვლისათვის საგულისხმო უცხო ტომთა კულტურულ ძალებისათვის. სახელმწიფოებრივი პოლიტიკა კი საქართველოს აქცევს მხოლოდ უცხოელთათვის სანეტარო ქვეყანად, რომელიც თვით ქართველთათვის ხდება საშინელების სიმბოლოდ, ტანჯვა-წვალების სადგურად“..

⁂

გაზეთი „**აზრი**“ აღნიშნავს ჟურნალ-გაზეთების მნიშვნელობას მუშა ხალხისათვის:

„დღეს პრესის უდიდესი მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია. დღევანდელ კლასობრივ საზოგადოებაში პრესა ყოველი კლასისათვის უმახვილესი იარაღია, რომლის საშუალებით ის იცავს კლასიურ ინტერესებს და ავრცელებს თავის მსოფლიო მხედველობას.

მით უფრო საჭიროა ეს იარაღი საერთოთ დემოკრატიისთვის და განსაკუთრებით კი მუშათა კლასისთვის, მისი მაღალი ისტორიული მისია აიძულებს მას მუდამ ჟამს მზად იყოს პასუხი გასცეს ყოველ საჭირბოროტო საკითხს და იქონიოს მასზე საღი შეხედულება. ამისთვის კი საუკეთესო საშუალებაა—მუშათა პრესა, რომლის გარშემო თავს იყრის მუშათა მასსა და თანდათან აძლიერებს თავის პოზიციას. ერთი სიტყვით, მუშათა პრესა საუკეთესო სააგიტაციო და საორგანიზაციო იარაღია, რომლითაც მშვენივრად სარგებლობენ ჩვენი ამხანაგები დასავლეთ ევროპაში და ამ ბოლო დროს რუსეთშიაც. ევროპის მუშათა კლასმა კარგა ხანია შეიგნო პრესის დიადი მნიშვნელობა და თავგამოდებით იბრძვის თავისი პრესის გასაძლიერებლად. ამ მხრივ, როგორც ბევრ სხვა რამეშიც, წასაბაძ მაგალითს გვაძლევს გერმანიის სოციალ-დემოკრატია. მან კარგა ხანია დაარსა ე. წ. „წითელი კვირა“; ამ კვირის განმავლობაში პარტიის ყოველი წევრი მოვალედ სთვლის თავის თავს გასწიოს პროპაგანდა-აგიტაცია, შესძინოს პარტიას ახალი წევრი და მოუპოვოს მუშათა გაზეთებს ახალი ხელის-მომწერი; ამ „კვირას“ ყოველთვის ჩინებულად აწყობენ იქაური ამხანაგები, მაგრამ განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს ის წელს. „წითელი კვირის“ შემდეგ პარტიას მიემატა 116,599 ახალი წევრი და მუშათა გაზეთებს კი 68,185 ახალი ხელის-მომწერი; ასეთმა შედეგმა თვით უკიდურესი ოპტიმისტებიც კი განცვიფრებაში მოიყვანა, მაგრამ გერმანიის მუშათა კლასმა ერთხელ კიდევ დაუმტკიცა თავის მტრებს, რომ მას კარგად ახსოვს დაუვიწყარი მასწავლებელის ანდერძი რომ: „მუშათა კლასის განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა“-ო.

სწორედ ამ მაღალი შეგნებით უნდა აეხსნათ ის სასიხარულო ფაქტი, რომ გერმანიის ს.-დ. პარტიას 60 მეტი ყოველ-დღიური გაზ. აქვს, რომლებსაც ათასობით ხელის-მომწერი ჰყავს. პრესის ასეთი სიძლიერე აიხსნება იმით, რომ გერმანიის მუშები თავის გაზეთს უყურებენ ისე, როგორც თავის საკუთარ საქმეს.

⁂

„**იმერეთში** ვკითხულობთ:

„ჩვენმა გაზეთებმა ათასნაირის სახელით მოგვნათლეს. ერთხელვე გაბატონებულებმა არ მოგვიწონეს სითამამე და დასამცირებლად ხან ბურჟუების მომხრე გვიწოდეს და ხან მუშების მტრები; მაგრამ ეს სულ მათი გულ-ღრძოობისა და იმ შიშის ბრალია, რომ მათ ბატონობას ბოლო არ მოეღოს, თორემ ეს ახალი მიმართულება შეიქმნება იმ დედა-ბოძად, რომელზედაც დამყარდება შესმენა, სამართლიანობა, საქმიანობა და უკეთესი მომავალიც...“

ნეტავი ჩვენ! აშენდება საქართველო მაშინ!

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ „**სახალხო გაზეთის**“ ხვალინდელს „**სურათებიან დამატებაში**“ მოთავსებულია: ლექსები ბალმონტისა,—თარგმანი ი. ევდოშვილისა და ბაბილინას; შეყვარებული,—მოთხრობა ვაჟა-ფშაველასი. სურათები: დიმიტრი ყიფიანი, ბალმონტი, ბაქოს წ.-კითხვ. გამ. საზოგადოების გამგეობა და კავკასიის საეროზო ხარჯთაღრიცხვის შესახებ მოსხდარ თათბირის კრება.

◆ **შეწირულება.** მეფის მოადგილის მეუღლემ გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისამ დედათა საეპარქიო სასწავლებელს სააღდგომო საჩუქრად შესწირა 800 მანეთიანი როიალი. ამის გამო 10 აპრილს გრაფინიას წარუდგა საგანგებო დეპუტაცია და მადლობა გადაუხადა უხვის საჩუქრისათვის. დეპუტაციაში იყვნენ საეპარქიო სასწავლებლის უფროსი კნეინა ნ. მ. თავდგირიძე, თავჯდომარე სასკოლო საბჭოსი მღვდელი ქ. ჯიოშვილი, ინსპექტორი კლასებისა დეკანოზი ქ. კეკელიძე და წევრნი საბჭოსი—დეკანოზი ნ. თალაქვაძე და მღვდელი ი. სოლომონოვი.

◆ **სამღვდელმთავრო წირვა.** ამას წინად გაზეთებში გამოითქვა სურვილი, რომ აღდგომის დღესასწაულებში ქართული სამღვდელმთავრო წირვა შეესრულებინათ ტფილისში. ამის და მიუხედავად აღდგომის ღამეს ტფილისის არც ერთს ეკლესიაში ქართველი ეპისკოპოსი მწირველი არ იყო.

◆ **ქართულ ფილარმონიული საზოგადოება**, კვირას 13 აპრილს ნაშუადღევის 1 საათზე ჰმართავს ფრიად საგულისხმო სამუსიკო კონცერტს, სამუსიკო სკოლის დარბაზში (ყორღანოვის ქ. № 6). კონცერტზე დაუკრავს საგულისგულოდ მომზადებული ორკესტრი სოფ. ავლევის სამეურნეო სკოლის მოწაფეთაგან შემდგარი. ეს ორკესტრი ცხრა თვეში საუცხოვოდ მოუმზადებია თ-დ კ. მ. ამირაჯიბს—დამკვრელები სულ გლეხები არიან. იმედია საზოგადოება არ დააკლდება ამ სასიამოვნო კონცერტს.

◆ **ლექცია.** კვირას, [illegible] 13 აპრილს, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა სახალხო სახლში ქართულ ენაზე ლექციას მართავს. წაიკითხავს მიხეილ წულუკიძე შემდეგ თემაზე: „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. დასაწყისი ნაშუადღევის პირველ საათზე. ბილეთების ფასი 5-დან 10 კ.-დე.

◆ **საფოტოგრაფიო გამოფენა.** საუკეთესო ხელოვნებათა წამქეზებელი ტფილისის საზოგადოება მიმდინარე წლის 5 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე ტფილისში საფოტოგრაფიო გამოფენას მართავს.

◆ **დილა ბავშვებისათვის.** ხვალ 13 აპრილს, სახალხო უნივერსიტეტი ჰმართავს ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში დილას ქართველ ბავშვებისათვის, ორ განყოფილებით. პირველ განყოფილებაში ილია ნაკაშიძე უამბობს ბავშვებს ქართულად ცნობილ ამერიკელ მწერლის, ცხოველთა მეგობრის, სეტონ ტომპსონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; მოუთხრობს სხვა და სხვა ადგილებს იმის ნაწერებიდან ცხოველთა შესახებ. მეორე განყოფილებაში ბავშვებს უჩვენებენ სინემატოგრაფიულ სურათებს, რომელთაც ილია ნაკაშიძე ქართულად ახსნის. დილა დაიწყება 1 საათზე. შესვლის ფასი 5 და 10 კაპ.

◆ რუსეთის ერების ერთობის საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი **ნ. ანენსკი**, პირველ სათათბიროს ნადეპუტატარი ტფილისში ამ დღეებში ჩამოვა და არა ჩამოვიდა, როგორც გუშინდელს ნომერში შეცდომით იყო დაბეჭდილი.

◆ როგორც დანამდვილებით გავიგეთ, **სპ. კედია** ფრანგულიდან ქართულად გადაუთარგმნია შემდეგი თხზულებანი: La vie et la mort „სიცოცხლე და სიკვდილი“ სორბონის ფიზიოლოგიის პროფ. დასტრისა (400 გვ.) და Les transformations du monde animal „ცხოველთა სამეფოს გარდაქმნანი“ ლიონის უნივერსიტეტის დოცენტის დეპერესი (350 გვ.)

◆ **ბაქოს ქართულ სკოლის მოსწავლენი** გუშინ, დილით, ტფილისიდან გაემგზავრნენ მცხეთის დასათვალიერებლად.

◆ **კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის** აქციების შეძენის მსურველთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. დღემდე სურვილი განაცხადეს სამ მილიონზე მეტის აქციის შეძენისა. ოფიციალური ხელისმოწერა აქციებზე 21 აპრილიდან დაიწყება.

საზოგადოებანი და კრებები

◆ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება მაისის დამლევს იქნება მოწვეული მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის განსახილველად.

საშინელი აჩრდილი

ყველამ კარგად იცის მუცლის მოწყვეტა როგორ გავრცელდა ჩვენში. ჩვენი მშობლები ან სულ გზას უკრავენ შთამომავლობას, ან აჩენენ მხოლოდ ერთს ან ორ შვილს და „სენტიმენტალურად“ გაიძახიან, ნეტავი ღმერთმა მოგვცეს შეძლება ესენი გამოვზარდოთ და მეტი რად გვინდაო. ამ ფრიად მავნე სენმა მხოლოდ ამ ბოლო დროს იჩინა ჩვენში თავი. სხვაგან კი დიდი ხნის ისტორია აქვს და დღეს მას მაგრადა აქვს ფესვი გამდგარი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, ამერიკაში და სხვ., რომელნიც ჩვენზე ძლიერნი არიან ეკონომიურადაც, განათლებითაც. გადაგვარების საშინელმა აჩრდილმა წამოგრაგნა ყველგან ცა და და ხალხის შემცირებამ მწარე საგონებელში ჩააგდო მთელი კაცობრიობა. მიზეზი, რასაკვირველია, იმ უკუღმართ სოციალურ წესწყობილებაში და ეკონომიურ სიდუხჭირეში ჩამარხული, რომლის რგოლები დღითი-დღე, თან და თან უფრო და უფრო ვიწროვდება, ყელში უჭერს კაცობრიობას და გასაქანს არ აძლევს ხალხის თავისუფალ ზრდასა და განვითარებას. ზოგსა ჰგონია, რომ მუცლის მოწყვეტის და ხალხის შემცირების „ბედნიერება“ მხოლოდ „განათლებულ“ საფრანგეთის ხვედრიაო და ხშირად მაგალითადაც მოჰყავთ ხოლმე იგი, მაგრამ ეს სენი თითქმის ყველგან, ყველა სახელმწიფოში, ყველა ხალხში ჩაბუდებულა, როგორც ამას დავინახავთ ბ. კოლონტაის წერილიდან, რომელიც დაბეჭდილია მიმდინარე წლის ჟურნალ „სოვრემ. მირ“-ში და რომელსაც მოვიყვანთ აქ შემოკლებით.

„ერთის მხრით დაბადებულთა მცირე რიცხვი, მეორეს მხრივ ბავშვების სიკვდილის ფრიად დიდი პროცენტი აიძულებს სახელმწიფო მმართველობას და თვით საზოგადოებას ჩაერიოს კერძო, ოჯახურ ცხოვრებაში და ზომებს დაუწყოს ძიება ხალხის გამრავლების სწორ გზაზე დასაყენებლად.

კაცობრიობის ისტორიაში არა ერთხელა ვხვდებით იმის მაგალითს, რომ მთავრობა ცდილა საზოგადოსახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით ჩარეულიყო კერძო, ცოლქმართ ცხოვრებაში, რომ ამა თუ იმ იძულებით თუ წამქეზებელ ზომით აეძულებინა იგინი შვილები მოემრავლებინათ და ხალხის ზრდა ნორმალურად კალაპოტში ჩაეყენებინათ. ამას ვამჩნევთ მეტადრე ძველს დროს, მაგრამ შემდეგაც ამა თუ იმ სახელმწიფოს მთავრობა ამ ზომებს არ დაჰრიდებია. მაგალითად გერმანიაში, 30 წლიან ომის შემდეგ, როცა ქვეყანა აოხრდა და ხალხი შემცირებისკენ დაექანა, ფრანკის რეიხსტაგმა (პარლამენტმა) 1650 წელს გამოსცა განსაკუთრებული კანონი, რომელიც ნებას აძლევდა ყოველს მამაკაცს ორი კანონიერი ცოლი ჰყოლოდა. ამ ზომით მთავრობა სცდილობდა ხალხი მოემრავლებინა და აოხრებული და გავერანებული ადგილები ისევ დაესახლებინა.

ინგლისის მეფე ელისაბედს სწამდა, რომ ერის სიმდიდრე მის მრავალრიცხოვნობაში იყო და ამიტომ დიდს დახმარებას უჩენდა იმ მუშებს, რომელთაც ბევრი შვილები ჰყავდათ. თუ მუშის ხელფასი ოჯახს არა ჰყოფნიდა, ელისაბედის ბრძანებით მათ ეძლეოდათ დახმარება სულადობაზე, ე. ი. რამდენი სულიც იყო ოჯახში.

შემდეგ, როცა ტეხნიკა განვითარდა და მანქანამ ერთი-მეორეზე გამოდევნა მუშა ხელი ფაბრიკა-ქარხნიდან, ეს კანონი მოსპეს (1834 წ.), რადგან მთავრობას ეშინოდა ხალხი ძლიერ არ გამრავლებულიყო და ქუჩები არ აევსოთ მშიერთ და მაწანწალათ...

დღეს მთავრობა ისევ ერევა კერძო, ოჯახურ ცხოვრებაში, მაგრამ ეხლა იმ მიზნით კი აღარა, რომ ხალხის გამრავლება შეაჩეროს, არამედ წინააღმდეგ—რომ ხალხის გამრავლება სწორ კალაპოტში ჩააყენოს, რადგან თითქმის ყველგან ხალხი კლებულობს.

დემოკრატიულ ამერიკაში პრეზიდენტმა რუზველტმა მოწოდებით მიმართა „გონს მოსულიყვნენ“ და შვილები მოემრავლებინათ, თორემ ანგლო-საქსონის შთამომავლობას გადაგვარების აჩრდილი დასტრიალებს თავსაო.

საფრანგეთის მთავრობა უფრო შორს წავიდა. იგი არა თუ დახმარებას უნიშნავს და ჯილდოებს ურიგებს მრავალ-შვილიან მშობლებს, არამედ იმ ადგილებში, სადაც ხალხი უფრო ნაკლებაა დასახლებული, მაგალ., მადაგასკარში, ყოველ მამაკაცს, რომელსაც 25 წლის შემდეგ შვილი არ ეყოლება (კანონიერი თუ უკანონო) აჯარიმებს 20 ფრანკით (ფრანკი—37 ნახ. კაპ.). სხვა მრავალ ზომებსაც ხმარობენ ამ მიზნით, მაგრამ ყოველი ახალი სტატისტიკა ერთსა და იმავეს უჩვენებს: ხალხის ზრდის შემცირების მიზეზი თანამედროვე ცხოვრების მძიმე პირობებშია; მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობის სიდუხჭირეში და იმაში, რომ ქალები თანდათან, უფრო და უფრო ებმებიან საწარმოო ცხოვრების მძიმე უღელში. რომ მუცლის მოწყვეტა შეაჩეროთ, რომ შეამციროთ ბავშვების მუსვრა, ამისათვის საკმარისი არ არის ხმელი ლუკმა მიუგდოთ მრავალ-შვილიან ოჯახს, ან უცოლო მამაკაცები დააჯარიმოთ. ამისთვის საჭიროა შექმნათ ხალხის კეთილდღეობა, შექმნათ ისეთი სოციალური პირობები, რომელნიც შეძლებას მისცემს მშობლებს თამამად მოამრავლონ შვილები და არ გაუჭირდეთ ლუკმის შოვნა; საჭიროა მოსპოთ შრომის ის მძიმე პირობები, რომელთაც ერთი მეორეზე სამარეში ჩაჰყავს დედა და შვილი.

ყველა კულტურულ ქვეყნებში ერთსა და იმავე მოვლენასა ვხედავთ: ხალხის ზრდა პარალელურად გვერდში არ მისდევს კაპიტალისტურ წარმოების აყვავებას. პირიქით, სადაც კი კაპიტალისტური წარმოება თავის უმაღლეს განვითარებას აღწევს, იქ ნათლად ემჩნევა ხალხის ზრდის შემცირება. ამას ნათლად გვიჩვენებენ შემდეგი ციფრები:

	1881—1885 წლამდე	1906—1910 წლამდე	
1000 სულზე დაბადებულა რუსეთში	49,0	47,1	(დაუკლია)
ბულგარეთში	37,2	40,6	(მოუმატ.)
რუმინიაში	41,8	40,3	
სერბიაში	46,3	36,5	
ჰუნგრეთში	44,6	36,7	
იაპონიაში	28,5	34,2	(მოუმატ.)
ესპანიაში	36,4	33,6	
ავსტრიაში	38,2	33,6	
იტალიაში	38,0	32,4	
გერმანიაში	37,0	31,1	
ფინლანდიაში	35,5	31,0	
ნიდერლანდ.	34,8	29,6	
დანიაში	32,4	28,2	
ნორვეგიაში	31,2	26,3	
შვეიცარიაში	28,6	25,5	
ინგლისში	33,5	26,2	
შვეციაში	29,1	25,5	
ბელგიაში	30,7	25,5	
საფრანგეთში	24,7	19,9	

როგორც აქედანა ჰხედავთ დაბადებულთა რიცხვი კლებულობს ყველა სახელმწიფოში, ამასთან—იმისთანა ქვეყნებში, სადაც მრეწველობა-წარმოება შესამჩნევად არის განვითარებული, ვიდრე იმისთანებში, სადაც მიწის დამუშავებას მისდევენ. დაბადებულთა რიცხვის სიმრავლით პირველი ალაგი უჭირავს რუსეთს, ბულგარეთს და სერბიას. გარნა ბულგარეთი ერთად-ერთი ქვეყანაა ევროპაში, სადაც დაბადებულთა რიცხვი ზემოხსენებულ ხანში არც ძლიერ დაცემულა, არც ძლიერ მომატებულა.

ასეთივე სურათს ვხედავთ ევროპის დიდს ქალაქებში 30 წლის განმავლობაში.

ევროპაში, ავსტრალიასა და კანადაში 1000 სულზე დაბადებულა:

ქალაქები:	1881 წ.	1911 წ.	ამ ხანში რიცხვი შემცირებულა:
ბრიუსელი	33,0	17,1	47,6%-ით
პრაგა	39,3	16,9	43,5% „
სიდნეი (ავსტ.)	41,1	27,8	37,5 „
ბერლინი . .	36,6	20,8	35,8%
ვენა	36,6	20	35,2 „
ამსტერდამი .	37,1	22,7	33,4 „
პარიზი	27,4	17,2	33,2 „
მიუნჰენი . . .	36,6	22,4	28,4 „
კოპენჰაგენი .	37,6	24,6	26,9 „
ედინბურგი .	30,7	21,3	24,4 „
ლონდონი . .	34,3	24,8	22,7 „
მოსკოვი . .	37	35,2	4,1 „
პეტერბურგი.	30,5	28,2	3,9 „
ტორონტო .	29,2	30,5	+ 5,5 „

დაბადებულთა რიცხვი მეტადრე მცირდება საფრანგეთში, სადაც ასი წლის განმავლობაში (1801—1901 წ.) ყოველწლიურად დაბად. რიცხვი დაცემულა 335-დან 197-მდე—10,000 მცხოვრებელზე. ამ მოვლენამ თავი იჩინა მეტადრე მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან. მაგალ. საფრანგეთში ცოცხალი ბავშვი დაბადებულა:

1867 წელს—	1,007,755 ბავშვ.
1876 „ —	996,682 „
1901 „ —	857,274 „
1905 „ —	807,291 „
1907 „ —	773,969 „
1909 „ —	769,969 „
1911 „ —	742,114 „

ამგვარად ჰხედავთ, რომ რაც დრო გადის, საფრანგეთის ხალხი რიცხვით საშინლადა კლებულობს.

70-იან წლებში საფრანგეთში იბადებოდა ცოცხ. ბავშვ. 25,4% 1000 მცხოვრებ., ეხლა კი ეს რიცხვი ძლივს აღწევს 18% 1000 მცხოვრებელზედ. ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ ერთ 1911 წ. საფრანგეთში ხალხმა იკლო 34,000 კაცით...

მაგრამ ეს „ბედნიერება“ მარტო საფრანგეთის თავს არ არის. ამასვე ვხედავთ სხვა ქვეყნებშიაც.

მაგალ. ავიღოთ გერმანია. თუ 1859—1871 წლებში დაბადებულთა რიცხვი მკვდარ დაბადებულიანად უდრიდა 36,9—40,1% 1000 მცხოვრებელზე, და ამ რიცხვმა 1872—1880 წ. 42,6 პროცენტამდეც კი აიწია, 80-იან წლებიდან, ე. ი. როდესაც მსხვილი კაპიტალისტური წარმოება სწრაფად დაეშვა განვითარების გზაზე, მშობიარობის რიცხვი თან და თან შესამჩნევად კლებულობს. 1880—1890 წლებში დაბადებულთა პროცენტმა დაიწია 39,1—37%-მდე, 1891—1900 წლ. ისევ იწევს 38,2%, მერმე კი ეცემა თანდათან და 1911 წელ. უდრის 29,5%-ს. აი სურათიც:

1901—1911 წ. გერმანიაში იბადებოდა:

წელ.	1000 მცხოვრებელზე
1901	36,9%
1902	36,2
1903	34,9
1904	35,2
1905	34,9
1907	33,2
1908	33,0
1909	32,0
1910	30,7
1911	29,5

დაბადებულთა რიცხვის შემცირება მეტადრე გერმანიის დედა-ქალაქს—ბერლინს ეტყობა. 1876 წ. 1000 მცხოვრებზე ბერლინში იბადებოდა 45,4%, 1911 წელს კი დაცემულა 20,84%-მდე.

ბავშვების რიცხვის მიხედვით ბერლინის მცხოვრებთა ოჯახები ასეთ სურათს წარმოადგენენ

ოჯახი, სადაც მხოლოდ ერთი ბავშვია	84%
„ „ „ ორი „	25
„ „ „ სამი „	14
„ „ „ ოთხი „	9
„ „ „ ხუთი „	5 დ სხ.

◆ ძმ. ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებ. ქართ. წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობამ გადასწყვიტა მოახდინოს საზოგადო წლიური კრება 11 მაისს. წლიური ანგარიშების შედგენას გამგეობა უკვე შეუდგა.

◆ **საზოგადო კლუბში** დღეს, საღამოს 8 საათზე ექიმი ქალი მ. მ. ბელიამოვიჩი წაიკითხავს რეფერატს „სასკოლო-სასანიტარო მეთვალყურეობა". რეფერატის შემდეგ გაიმართება სამუსიკო-ვოკალური განყოფილება ქ-ნ ს. ნ. სოლოვიოვ-სტრახოვის ხელმძღვანელობით.

სომეხთა ცხოვრება

◆ **სასკოლო შენობები.** ო. მუტაფიანმა იკისრა ახალი დიდის შენობის ხარჯი ახალციხის სომხურ საქალებო სკოლისათვის. შენობა დაჯდება 30 ათასი მანეთი.

◆ **ს. ოშაკანში**, სადაც დასაფლავებულია წმ. მესროპი, ჩაჰყარეს საძირკველი ახალი სასკოლო შენობისა.

◆ **ს. ბეგჯაზლუში** ტ. აფრიკიანმა თავის ხარჯით ააშენა სკოლისთვის სახლი და აღუთქვა სკოლის ყოველწლიური დახმარება.

ქიევი.

◆ თავი მოიკლა დოლაბერიძის სარდაფის ოფიციანტმა ლომიძემ. სარდაფის პატრონმა ლომიძეზე ეჭვი ქურდობაში მიიტანა და ადგილიდან დაითხოვა. ამის შემდეგ ლომიძე ჩავიდა სარდაფში და რევოლვერის ორი ტყვიით თავი მოიკლა. თავის მკვლელობამდე ორი წერილი დასტოვა. პირველ წერილში პოლიციას აცნობებს, რომ მკვლელობაში არავინაა დანაშავე; მეორე წერილში ძმის პოლიტეხნიკის მიმართ სწერს, რომ პატიოსნება ცარიელი სიტყვა არ არის, სიმართლეც რომ გამორკვეულიყო, ჩირქი მაინც მოეცხო მისს სახელს და ძმას პატიებას სთხოვს მწუხარების მიყენებისათვის. ლომიძე დაასაფლავეს 4 აპრილს. პანაშვიდზე გალობდა ქართველ სტუდენტების ჯგუფი.

შევჩენკოს დღესასწაულის აკრძალვის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობისთვის დატუსაღებულნი სტუდენტები: ოქროპირიძე, გაჩეჩილაძე და ბერიძე გაანთავისუფლეს სასჯელის მოხდის შემდეგ. მათ გუბერნატორისაგან თითო თვე ციხე ჰქონდათ გადაწყვეტილი. ამავე საქმის გამო სტუდენტებს მ. ბარნაბიშვილს და ლ. ქორქაშვილს სამი თვე ციხე მუსაჯა გუბერნატორმა; მათ სასჯელის ვადა თიბათვის პირველ რიცხვებში უთავდებათ.

31 მარტს ჟანდარმთა სამმართველოს განკარგულებით გაჩხრიკეს სტ. დავ. მაჭავარიანი და დაატუსაღეს, მაგრამ 2 აპრილს ისევ განთავისუფლეს.

ქუთაისი

◆ ხმოსანს დ. ნ. აბდუშელიშვილს განცხადება შეუტანია ქალ. საბჭოში შესახებ იმისა, რომ ქუთაისში გახსნილ იქნას ქალაქის საზოგადო ბანკი. აბდუშელიშვილი იმ აზრისაა, რომ ხსენებული ბანკი ქალაქის ღარიბ კასას დიდ დახმარებას გაუწევდა თავისი მოგებით. ბანკის გასახსნელად საჭირო ფული შეიძლებოდა სესხად აეღოთ იმ ფონდიდან, რომელიც დაარსებულია ქალაქებისა და ერობათა დასახმარებლად.

ოზურგეთი

◆ ოზურგეთის მაზრის მემამულეს თ. ნ. ყ. თავდგირიძეს შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე, რომ მას მიეცეს ოზურგეთ-ნატანების რკინის გზის შტოეს გაყვანის კონცესია.

ზუგდიდი

◆ ზუგდიდელებმა შუამდგომლობა აღძრეს, რომ შავი ზღვის განაპირა რკინის გზა ზუგდიდიდან ორი ვერსის მანძილზე გაიყვანონ. თუ ეს შუამდგომლობა მთავრობამ შეიწყნარა, იმ შემთხვევაში რკინის გზის სადგურის ასაგებ ხარჯებს ზუგდიდის მცხოვრებნი კისრულობენ.

გზა და გზა

მინდა ჩვენს მკითხველებს გავუზიარო შთაბეჭდილებანი ერთი პატარა მგზავრობის შესახებ. ქალაქიდან გორის მაზრის ერთს სოფლისკენ მივდიოდი. სადგურიდან სოფლამდე სულ 6—7 ვერსი იქნება. აი, სანამ ამ გზას გავივლიდი, შემთხვევა მომეცა გამოვხმაურებოდი მგზავრად მიმავალ გლეხებსა და სოფელში მოსულ ქალაქის მუშებს. გადმოგცემთ გაგონილს სრულიად უკომენტაროდ, ისე, როგორც გავიგონე. იქნება ზოგიერთთათვის საინტერესო იყოს, რანაირად აღიბეჭდება ხოლმე ჩვენი საჭირბოროტო საკითხები ხალხის გონებაში.

ლაპარაკი შეკითხვით დაიწყო. ერთმა იმათგანმა მკითხა, პოლიტეხნიკუმის საქმე როგორ გადასწყდაო. მეც ვუთხარი, მეფის მოადგილის განკარგულებით პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში აშენდება მეთქი. მე დავჩუმდი. იმათ ერთმანეთში დაიწყეს საუბარი. მე მხოლოდ ყურს ვუგდებდი და მხოლოდ ხანდისხან, კამათის დროს დაიბნეოდნენ ხოლმე, კითხვების მიცემით ვცდილობდი საკითხები ნათლად დამესვა მათთვის.

— მაშ, გვაჯობეს სომხებმა, რადა? —გაიქნია თავი ერთმა მათგანმა, რომელიც, როგორც ეტყობა, უფრო ახლო იცნობდა პოლიტეხნიკუმის გარშემო ატეხილ დავას.

— როგორ გვაჯობეს, მერე?—შეეკითხა მეორე.—განა ნავთლუღი კი საქართველოს ქალაქი არ არის?

— მართალია, მაგრამ ნავთლუღში უფრო სომხები სცხოვრობენ, მიწებიც სომხებისაა და იმიტომ გაიწიეს იქითო.

აქ სიტყვა ჩაურთო მესამემ, ქალაქში ნამყოფმა მუშამ, რომელსაც პირველი ორის საუბარი როგორღაც არ მოეწონა და თავიდანვე მხრები აიჩეჩა.

— სულ ერთი არ არის, სადაც არ უნდა აშენებულიყო? ნავთლუღში სომხის ბურჟუების მიწებია, საბურთალოზე ქართველი თავადებისა. ჩვენთვის სულ ერთი არ არის, რომელი მათგანი გაიხარებს?

მეორე მოლაპარაკე ცოტახანს ჩაფიქრდა, თითქოს აზრების მოკრეფას ცდილობსო და მერე დაბეჯითებით სთქვა:

— მაგას ნუ იტყვი, მაგას ნუ იტყვი! შენ, ჩემო ძმაო, ბევრი რამ არ იცი, ან მე რა ვიცი, მაგრამ ქალაქში სულ სხვანაირი ამბები ჰხდება.. აი, განათლებული პირები რომ არიან, როგორღაც ძალიან დაეტაკნენ ერთმანეთსო. ისინი ბევრს რამესა ჰხედავენ, ჩვენ კი შორიდან ასე გვგონია, არაფერიაო. როგორ არაფერია, კაცო? ახლა ავლაბარი და ნავთლუღი ისეთი რა არის, რომ სულ იქით-იქით იწევენ? თუ სულერთია, რატომ ნაძალადევში არ დააწესეს პოლიტეხნიკუმი? ალბად რომ სულ ერთი არა ყოფილა. საავადმყოფოებსაც სულ ავლაბარსა და ნავთლუღში ხსნიან. რაო, განა ნაძალადევსა და ვერაზე კი არა სცხოვრობს ღარიბი ხალხი? არა, ჩემო ძმაო, რაღაცა ამბებია, თორემ ეს ამდენი განათლებული ხალხი ასე რად შეეკიდებოდა ერთმანეთს?

ქალაქში ნამყოფი მუშა ამის შემდეგ დაჩუმდა და მხოლოდ გულ-დასმით უგდებდა ყურს სხვების ლაპარაკს.

— ეგეთები არიან ეგ სომხები?—წამოიძახა ერთმა ფარაჯიანმა გლეხმა, რომელიც აქამდის სულ გაჩუმებული მიდიოდა.

— აი, ჩვენშიაც, სულ თავისკენ იწევიან.—იმდენი ქნეს რომ მამასახლისიც თავისი აირჩიეს. ისე მოვლენ ხოლმე, როგორც ერთი კაცი.

— რამდენია თქვენ სოფელში სომეხი?—ვკითხე ფარაჯიან გლეხს.

— სულ, შენი ჭირიმე, ჩვენ სოფელში ათას ორასი კომლი უნდა იყოს, ასე ამბობენ. სომეხი ორასამდე კომლი იქნება.

— მერე სომეხი რად აირჩიეთ?—

— ჩვენში ეგეთი გარჩევა არ არის. რა გარჩევაა, შენი ჭირიმე. ჭირში და ლხინში ერთადა ვართ, მაგრამ ეხლა რაღაც სხვანაირად გაიწიეს განზე. სულ უნდათ ყველაფერი სომხებს მიჰკერძონ. აი, ეხლა ჩვენში ერთი მდიდარი სომეხი გარდაიცვალა თავის უბნელებს, სადაც სომხებიც სცხოვრობენ და ქართველებიც, ცოტა რამ ფული შესწირა. იმათ მოილაპარაკეს და ამ ფულით სკოლის გახსნა გადასწყვიტეს. ჩაერია დაწყევლილი (იქაური ვეკარი დაასახელა) და საქმე ისე მოაწყო, რომ „კნილაში" („კნილას" იმ წიგნს ეძახიან, სადაც სოფლის დადგენილებანი იწერება) გაატარა, ამ ფულით ეკლესია უნდა შეკეთდესო. იმ უბანში კი ეკლესია სომხებისაა. მეორე დღიოდა და ამბობდა, ფული სომეხმა შესწირა და სომხის შეწირულ ფულში ქართველებს წილი რად უნდა ედოთო.

ამის შემდეგ ლაპარაკი გადავიდა ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობაზე. ამან კი თავის თავად გამოიწვია საუბარი მომხმარებელ ამხანაგობის დაარსების თაობაზე. ვხედავდი, რომ მთელი ეს საუბარი გარს უტრიალებდა ერთს მთავარს აზრს, რომელიც მოლაპარაკეთ თავისთავისაც კი კარგად ვერ გამოერკვიათ: აზრი იყო ეროვნული განსხვავება ქართველებსა და სომხებს შორის, რომელიც ქართულს სოფელში დღემდის არა სჩანდა და დღეს კი მეტად ნათლადა სჩანს, ისე ნათლად, რომ თვით უბირი გლეხებიც კი ჰგრძნობენ.

მგზავრი.

თამ. დ. ჩოლაყაშვილის მოხსენება საერობო თათბირის მუშაობის შესახებ.

(შემდეგი *)

მომხსენებელი შეეხო სახაზინო პალატების რევიზიის ანგარიშს საერობო ბეგრებისა და საჯარიმო თანხების წარმოების საქმეში, 1910—12 წლ. განმავლობაში. მან აღნიშნა, რომ საერობო ხარჯები 1913 წლის 1 იანვრისათვის იყო: 1) 2 პროცენტიანი გადასახადისა—2,076,504 მან. 2) უძრავ ქონებათა გადასახადი 1,048,124 მან., 3) სახაზინო ქონების გადასახ.—314,618 მ., 4) საუფლისწულო და კერძო მამულების და ტყეების—2,555,227 მ., მცხოვრებლებზე დარჩენილი ვალი საერობო კასისა უდრის:

ერევნის გუბერნიაში		25 პროც.
განჯისაში	„	39 „
ყარსის ოლქში და შავი ზღვ. გუბ.	„	45 „
ზაქათალ. ოლქში	„	80 „
ქუთ. გუბ., სუხუმ. ოლქ. და დაღეს. ოლქში	„	93—99 „
ბაქოს გუბერნიაში		165 „

ტფილისის გუბერნიაში და ბათომის ოლქში 200 პროც.

შემდეგ დ. ე. ჩოლოყაშვილმა აუწყა დამსწრეთ, რომ ამიერ-კავკასიის საერობო ხარჯთაღრიცხვა 1904 დან 1908 წლამდე უდრიდა 4,629,304 მან. წლიურად. 1909 წლიდან ხარჯთაღრიცხვამ აიწია 5,747,496 მანეთამდე, ეხლანდელი კი უდრის—6,749,000 მ. ამიერ კავკასიის საერობო ხარჯთაღრიცხვის უმთავრესი შემოსავალი კერძო მესაკუთრეთა, საგლეხო ტყე და მამულის გადასახადია, რომელიც 56 პროც. უდრის; სახელმწიფო მამულების გადასახადია 3,1 პროც., სავაჭრო, სამრეწველო დაწესებულებათა და ქარხნების ბინების გადასახადი—14,6 პროც., საქალაქო უძრავ ქონებათა გადასახადი—13,1 პროც., ვაჭრობისა და მრეწველობის საბუთების გადასახადი 5,94%.

კავკასიის მეფის მოადგილის საბჭოს წევრის ნ. ჟუკოვსკის მოხსენებიდან სჩანს, რომ ამიერ-კავკასიის გუბერნიებიდან და ცალკე ოლქებიდან მხოლოდ ორს—ბაქოსა და ტფილისსა თავისი ბიუჯეტების აბსოლუტიური ხასიათის გამო, შეიძლება ეწოდოს საგუბერნიო ერობის თვალსაზრისით; რადგანაც 1912—13 წლების ცნობებით არ ყოფილა წლიური ბიუჯეტი ერთმილიონზე ნაკლები. ამრიგად ამიერ კავკასიის დანარჩენი რაიონები თავიანთი ბიუჯეტებით შეიძლება შეედარონ მხოლოდ სამაზრო ერობებს.

ამიერ-კავკასიის საერობო შემოსავალში პირველი ადგილი ბაქოს გუბერნიას უჭირავს, რომელსაც სამის წლის განმავლობაში ხუთი მილიონი შემოსდის, რაც მთელი საერობო შემოსავლის 27,5 პროც. შეადგენს, მეორე ადგილი უჭირავს ტფილისისას—18,8 პროც. (სამ მილიონზე მეტი სამის წლის განმავლობაში), მესამე—განჯისას 15 პროცენ. (2,739 ათასი სამის წლის განმავლობაში), მეოთხე—ერევნისა 9,9 პროც. (1800), მეხუთე—ქუთაისისა —9,3 პროც. (1,696 ათასი) და მეექვსე ყარსის ოლქისა—5 პროც. (927 ათასი).

ამ რიგად ჩამოთვლილ გუბერნიებს შემოაქვთ 85,5 პროც. საერობო ბიუჯეტისა; რადგანაც 4 პროც. შეადგენს მხარის საერთო შემოსავალს, დანარჩენი რაიონები, სახელდობრ შავი-ზღვის გუბერნია, დაღესტნისა და ბათომის ოლქები, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებს შემოაქვთ მთელი მხარის შემოსავლის მხოლოდ 10 პროცენტი.

ამიერ კავკასიაში საერობო სამმართველოს შემოღების დროს უეჭველია საჭირო იქნება საერთო მხარის ხარჯთ-აღრიცხვიდან გადასვლა ცალკე ტერიტორიულ ერთეულების ხარჯთ-აღრიცხვებზე.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. სახალ. გაზ." № 1159.

ამბროსი ნეკრესელი

ამბროსი ნეკრესელი, შესანიშნავი პირია მე-18 საუკუნეში. მისგან დარჩენილი ქადაგებანი ცხადად გვიმტკიცებენ, თუ რა პიროვნება იყო იგი. ამბროსი იყო პირველადვე მქადაგებელ-მჭევრმეტყველი, მისიონერი და ძლიერი პატრიოტი. მისთანა ძლიერი სიყვარული სამშობლოსადმი ბევრს მისს თანამედროვეს არ განუცდია. მისი გული სავსე იყო მწუხარებით რა ჰხედავდა სამშობლოს უბედურობას... ღალატი, სიორგულე, ფლიდობა მის დროს საოცრად იყო გავრცელებული. ყოველს ახალს ღალატზე, ამბროსი ცხარე ცრემლით სტიროდა და ანათემით [illegible] ქვეყნის [illegible] გულთა. მრავალი მოღალატე [illegible] მოლოს გაძეუმი დაუყენებია კეთილ გზაზე, ამისთვის აუძარიტი იყო, რომ ამბობდნენ მასზე: „საქმე სჯარობს ქადაგებათა მისთა". როდესაც გულდა-ძრული კასელები ლეკებიდიდნენ, იგი ამხელდა მათ სასტიკად და ნებას არ აძლევდა მიეღოთ მუსულმანობა. სამაგიეროდ, ბევრი ქოტელი ლეკი მოაქცია ქრისტეს რჯულზე. ახალ მოქცეულთა ძორისას იგი მეცადინეობს აღმოფხვრას ყოველი ცრუ-მორწმუნოებისას. ერთს ქადაგებაში იგი ამბობს: „ნუ [illegible] მკითხაობას, ნუ ბჭყოლიბართ ეშმაკის სიტყვასა, ქრისტეს ჯვარის დაკითხენით, წმიდას ეკლესიასა, და მას შინა მდებარეს წმიდას სახარებასა და წმიდათა ხატთა და პატიოსანთა ძვლებთა, თუ არა ყოველივე თქუენი კეთილი ქრისტეს ჯვართან ბიროტად შერაცხეჲა იყოდეთ. ნუცა ფილისმა, ნუცა ჯადოგი, ნუცა ძფარი, ნუცა იეჯი და სიზმარი, და სხვა ყოველივე ამისებრი საქმე საეშმაკო, ესე ყოველივე არ არს, შვილნო ღვთისანო, არამედ ეშმაკისა და ბოროტისა მის მაცთურებისა მისისანი, და ამისთანებში, რომელნიც მოტყუებულ იყვნენ. (იხ. ქადაგ. გვ. 47) სამართლიანად ვუწოდებთ, მას ქართველ იერემიად, მეთვრამეტე საუკუნეში... „საქართველოს შვილნი, ვიტიროთ, ვიგლოვოთ, და ჩვენს უბადრუკს ცხოვრებას და სიცოცხლეს ვაბრალოთ და ვაყვედროთ"-ო! ღაღადებს ამბროსი, როდესაც ხოჯამ წარსტყვევნა ტფილისი 1795 წ. 13 სექტ. შვებას დღეს ვერ ჰპოულობდა სახელოვანი მღვდელ-მთავარი და უბნობდა ყოველთვის საგოდებელს სიტყვებს და იმეორებდა დავით წინასწარმეტყველის სიტყვებს. „შიში სიკვდილისა, დამეცა ჩემზედა, შიში დ ძრწოლა მომიხდა მე, და დამფარა ბნელმან"!.. ამბობდა ამას, არა შეძრწუნებული სიკვდილის შიშით, არამედ მამულის დაღუპვის შიშითა, რომლის ბედი მარად თან სდევდა სახელოვანს მწყემსს...

მაგრამ, სანამ მისს ღირსებას ვიტყოდეთ, მანამ მისს ცხოვრებას და ბიოგრაფიულს ცნობებს განვიხილავდეთ..

2.

ამბროსი ნეკრესელის ცხოვრების პირველი ხნის ცნობანი ბინდ-ბუნდით არის მოცული. ამბროსის გვარის შესახებ დანამდვილებით არაფერი ვიცით, თუმცა ტარასი არქიმანდრიტის სიტყვით, იგი გვარად მიქაძე ყოფილა. სად დაიბადა, რა დროს, რა წოდებისა იყო, დედ-მამა ვინ ჰყავდა, როდის შესდგა ბერად, —ყველა ესენი ჩვენს მატიანეს არაფერი გადმოუცია. დაახლოვებით, მისი დაბადება უნდა მიეწეროდეს 1728—29 წლებს. სწავლა მიუღია მას ორ დიდებულ მასწავლებლისგან. პირველად ასწავლიდა მას კათალიკოსი ბესარიონი, გვარად ორბელიანი († 1738) კაცი მსწავლული

ბერლინის სხვა და სხვა უბნებში 1000 მცხოვრ. დაბადებულა:

დოროთეენშტადტი (მდიდრების უბანი) 1906 წ. 11,86%, 1907 წ. 9,46, 1909 წ. 10,60, 1911 წ. 10,11.

შტრალაუ (მუშებისა და ვაჭარ. უბანი) 1907 წ. 31,52, 1909 წ. 25,67, 1911 წ. 25,05.

როზენტალის ფორშტადტი (მუშ. და ვაჭრ. უბან.) 1906 წ. 34,97, 1907 წ. 37,39, 1909 წ. 30,61, 1911 წ. 26,72.

ბედდინგი (მუშების უბანი) 1906 წ. 34,72, 1907 წ. 35,71, 1909 წ. 30,25, 1911 წ. 26,26.

თუმცა დიდია დაბადებულთა რიცხვი იმ უბნებში, სადაც მუშები მოსახლეობენ, მაგრამ აქაც ემჩნევა პროცენ. თანდათანი კლება. მაგალ. ბედდინგში, მუშების უბანში, დაბადებულთა რიცხვი 5 წლის განმავლობაში 34,72-დან დაეცა 26,26 პროც. 1000 მცხოვ.

აღსანიშნავია, ის, რომ იმ დროს, როცა კანონიერ შვილთა რიცხვი კლებულობს, იზრდება რიცხვი უკანონო შვილებისა. მაგალ. 1816—17 წ. უკანონოდ დაბადებულთა რიცხვი უდრიდა 19—20 პროც. მაგრამ 1900 წლიდან ეს რიცხვი სწრაფად იზრდება. მაგალ. ბერლინში უკანონო შვილი დაბადებულა:

წლები	
1906	17,6%
1908	19,3
1910	20,9
1911	22,2

1906 წელს ბერლინში დაიბადა კანონიერი 53,395 ბავშვი, უკანონო 9,414 ბავშვი. 1911 წელს თუმცა კანონიერად დაბადებულთა რიცხვმა იკლო—(44,834), უკანონოდ დაბად. რიცხვმა იმატა (9,938 ბავშვ.).

საფრანგეთშიაც ამასა ვხედავთ. კანონიერ შვილთა რიცხვი უფრო სწრაფად ეცემა, კლებულობს, ვიდრე უკანონოებისა. მაგალ., 1881—1907 წლამდე საფრანგეთში კანონიერად დაბადებულთა რიცხვი იწევს 937,057-დან 773,969-მდე, უკანონო ბავშვთა რიცხვი კი იზრდება: 1881 წ. დაიბადა უკანონოდ 70.079 ბავშვი, 1906 წელს კი—70,866 ბავ., დრეზდენში კანონიერ შვილთა რიცხვი დაეცა 1881—1902 წლამდე 12,6 პროცენტით, უკანონოთა რიცხვმა კი იმატა 7,3 პროცენტით.

აქედან ვხედავთ, რომ მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობები აიძულებენ მშრომელ ხალხს მოერიდოს საკუთარ შვილების ყოლას და ესწრაფოს „თავისუფალ შეუღლებას", რის შედეგი, ბავშვთა დიდი უმრავლესობა ქუჩას ეთვისება და მძიმე ტვირთად აწვება ქვეყანას.

მაგრამ გერმანიას გადაგვარების აჩრდილი არც ისე აფრთხობს. მართალია, ხალხის ზრდის პროცესი სვლის ნაბიჯით მიდის წინ და უკანასკნელ წლებში ეს ზრდა თითქმის შეჩერდა კიდეც, მაგრამ მცხოვრებთა საერთო რიცხვზე ეს ჯერ შესამჩნევ ცვლილებას ვერ ახდენს ერთ საპატიო სოციალურ მოვლენის წყალობით. გერმანიის საზოგადოება დროზე გონს მოვიდა და მარჯვედ გამოუცხადა ბრძოლა სხვა და სხვა სენს და ამით ყოველ-წლიურ გარდაცვალებულთა რიცხვი შესამჩნევად დასწია ძირს. მაგალ., თუ 80-ან წლებში 1000-ზე კვდებოდა 25 კაცი, 1910 წ. კვდება მხოლოდ 17.

		მცხოვრებზე:
1851—1860 წ.	მოკვდა	1000—27,8
1871—1880 წ.	„	28,8%
1891—1900 წ.	„	23,5
1901—1910 წ.	„	19,7
1911— — წ.	„	18,2.

ამის გამო, თუმცა დაბადებულთა რიცხვმა იკლო, მაინც გერმანიის ხალხი მოგებაშია. მაგრამ მიუხედავად ასეთი სურათისა, დაბადებულთა რიცხვის შემცირების ფაქტი მაინც წინ გვიდევს და გერმანიის საზოგადოება სცდილობს წააქეზოს შვილოსნობა და რაც შეიძლება ფრთები შეაკვეცოს ბავშვთა სიკვდილს.

გამონაკლისს არც ველიკობრიტანია ანუ ინგლისი შეადგენს. ამ კაპიტალისტურ მეურნეობის უმაღლესად განვითარებულ ქვეყანაშია ემჩნევა უკანასკნელ ხანს დაბადებულთა რიცხვის შემცირება.

ინგლისში და უელსში (ინგლისის დასავლეთი ნაწილი), დაბადებულთა რიცხვი ასე მცირდება:

წელიწადი:	1000 მცხოვრებზე:
1880	35,3%
1885	33,5
1899	31,4
1895	30,5
1900	29,3
1905	28,2
1910	26,3
1911	24,4

აქედან ნათლადა სჩანს, როგორ თინდათანა კლებულობს დაბადებულთა რიცხვი.

ინგლისში რომ იმდენი იბადებოდეს ისევ, რამდენიც იბადებოდა ამ 40 წლის წინად, ყოველ წლივ ინგლისს მოემატებოდა 200,000 ათასი კაცი.

„სად მიდის ეს 200,000 კაცი?" კითხულობს სიდნეი ვებბი. თუმცა ლონდონის მცხოვრებთა რიცხვი კიდევ იზრდება, გარნა ბავშვების რიცხვმა არა თუ იმატა, პირ-იქით იკლო. დაბადებულთა რიცხვმა დაიწია ინგლისის სხვა ნაწილებშიაც.

ამასვე ვხედავთ შოტლანდიაში.

წელს	1000	მცხოვრებზე	დაბადებულა
1865	„	„	35,5%
1875	„	„	35,1
1885	„	„	32,7
1895	„	„	31,0
1905	„	„	28,6
1911	„	„	25,6

უკეთესად არაა საქმე სხვა კულტურულ ქვეყნებშიაც. ავსტრიაში 1870—1907 წ. დაბადებულთა რიცხვმა დაიწია 39-დან—35-მდე 1000 მცხოვ. ბელგიაში 32,3—25,7-მდე; შვეიცარიაში 30,7—26,8-მდე; იტალიაში 36,4—31,5-მდე.

ამ პროცესმა მწვავე ხასიათი მიიღო მეტადრე იმ ქვეყნებში, სადაც იგი დიდი ხანი არ არის რაც დაიწყო. მაგალ. საფრანგეთში უკანასკნელ ცხრა წლის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვმა იკლო მხოლოდ 6%, ჰუნგრეთში 7%, ინგლისში 8%, საქსონიაში კი, სადაც ეს პროცესი ეხლახანს დაიწყო, დაბადებულთა რიცხვი დაეცა 22%-ით. დაბადებულთა შემცირების საკითხის გამოკვლევის დროს ჩვეულებრივ პირველად საფრანგეთს მოიყვანენ ხოლმე მაგალითად. მაგრამ არსებითად საფრანგეთმა მხოლოდ პირველმა შესდგა ფეხი ამ პროცესის გზაზე და შემდეგ კი მიჰყვა უკან ყველა „განათლებული" ერი. საინტერესოა ის, რომ იმ დროს, როდესაც საფრანგეთს დასჭირდა თითქმის ასი წელიწადი, რომ დაბადებულთა რიცხვი 35-დან 26-მდე დაეწია (1000 მცხოვ.) ინგლისში ეს „ევოლუცია" მოხდა ორმოც წელიწადში, ავსტრალიის ახალშენებმა კი გაუსწრეს ყველას და რაღაც ათ წელში დასწიეს დაბადებულთა რიცხვი 35—25%-მდე.

რუსეთს დაბადებულთა რიცხვის სიდიდით ჯერ კიდევ პირველი ადგილი უჭირავს სხვა სახელმწიფოთა შორის. მაგრამ მაინც ამ სახალხო მეურნეობით ჩამორჩენილ ქვეყანაშიაც ემჩნევა დაბადებულთა რიცხვის შემცირება. მაგალ. თუ ოცი წლის წინ 1000 მცხოვრებზე იბადებოდა 50 ბავშვი, ეხლა იბადება მხოლოდ 47. ამგვარად არ არის არც ერთი ქვეყანა, სადაც დაბადებულთა რიცხვის შემცირება არ ემჩნეოდეს. სამწუხაროდ ამას ზედ ერთვის ბავშვების გახშირებული სიკვდილიც, რაიცა პირველ მოვლენასთან ერთად დაღუპვას უმზადებს მთელს კაცობრიობას.

ბავშვების სიკვდილი ყოველს სახელმწიფოში საშინელს სურათს წარმოადგენს. მაგალით., 1901—1908 წლამდე ერთი წლის დაბადებულ 100 ბავშვზე საშუალოდ კვდებოდა:

რუსეთში	27,2
ავსტრიაში	20,2
გერმანიაში	19,5
ესპანიაში	17,3
ბელგიაში	16,4
იტალიაში	15,6
იაპონიაში	15,1
საფრანგეთში	14,3
ნიდერლანდებში	12,2
ინგლისში დ უელსში	12,1
ფინლიანდიაში	12,0
შოტლანდიაში	11,0
დანიაში	10,8
შვეიცარიაში	10,8
ირლანდიაში	9,0
შვეციაში	7,1
ნორვეგიაში	6,7
ავსტრალიაში	8,2

ამგვარად, როგორაც ჰხედავთ, რუსეთს პირველი ალაგი უჭირავს. ევროპის რუსეთი თვის 90 მილიონიან ხალხით ჰკარგავს ყოველ წლივ 1,196,000 ბავშვს.

იმ დროს, როდესაც 1000 ბავშვზე ერთ წლამდე სცოცხლობს:

ნორვეგიაში	900	ბავშვი.
შვეციაში	880	„
დანიაში, ინგლისში დ ფინლიანდიაში	850	„
საფრანგეთში და შვეიცარიაში	830	„
ავსტრიაში	750	„
პრუსიაში	720	„
ევროპის რუსეთში მხოლოდ	700	„

მაშასადამე იხოცება ნორჩი არსებანი, რომელთაც ერთხელ ძლივს ამოუსუნთქიათ ჰაერი... მაგრამ თუ სხვა სახელმწიფოში სიკვდილი მუსრს ავლებს ბავშვებს პირველ წლამდე, რუსეთში შემდეგშიაც ბუზისავით იმუსრება ბავშვი. ზოგიერთ გუბერნიაში 1—5 წლამდე ბავშვების 76% კვდება. სხვა სახელმწიფოებში მთელ რიგ—სოციალურ ზომების წყალობით ბავშვების მუსვრა (სიკვდილი) მაინც შეამცირეს. რუსეთზე ამის თქმაც არ შეიძლება. ჰაველოკ-ელლის ამბობს, რომ რუსეთში საოცარი პროცესი ხდება, რომელიც დაბადებულთა რიცხვს უთანაბრებს გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვს. თუ ბევრი იბადება რუსეთში, ბევრიცა კვდება. 30 წლის წინად რუსეთში სამჯერ მეტი ბავშვი კვდებოდა, ვიდრე ნორვეგიაში, ეხლა კი თითქმის ოთხჯერ მეტი კვდება პირველში, ვიდრე უკანასკნელში. რამდენა ბავშვი იხოცება რუსეთში, ამას შემდეგი ციფრები დაგვანახვებს:

1000 ბავშვზე კვდება:

გუბერნ.	1 წლამდე.	5 წლამდე.
ვიატკის გუბ.	358 ბავ.	476 ბავ.
კალუგისაში	356 „	508 „
ვლადიმირისაში	353 „	488 „
კოსტრომისაში	328 „	469 „
კურსკისაში	246 „	444 „
ვოლოგდისაში	296 „	357 „
კაზანისაში	269 „	419 „
ასტრახანისაში	266 „	409 „
კიევისაში	241 „	401 „
ბესარაბიისაში	186 „	348 „
ეკატერინოს.	176 „	330 „
მინსკისაში	175 „	312 „
კურლიანდიის.	163 „	274 „

და სხვა.

აღსანიშნავია ის გარემოებაა, რომ გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი ფრიად დიდია არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიაც. მეტი ბავშვი იხოცება უფრო სამრეწველო ქალაქებში.

მაგრამ ვინც იცნობს ცხოვრების და შრომის იმ მძიმე პირობებს, რომელშიაც უხდება ცხოვრება და მუშაობა 70 მილიონიან გლეხობას და ფაბრიკა-ქარხნების 10 მილიონ მუშებს, მიუხედავად ლატაკია იმ დიდი ლაშქრისა, რომელიც იკვებება შემთხვევითი ხელფასით, ეს არ გაუკვირდება. განა შესაძლებელია იმ მშობლების ბავშვების სიცოცხლე, რომელნიც გამუდმებულ სიმშილობას განიცდიან?..

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იმ ქვეყნებში, რომელნიც კულტურით, განათლებით, ხალ-

და ღრმა ფილოსოფოსი, შემდეგ მისი გარდაცვალებისა, უსწავლია კათალიკოზ ნიკოლოოზთან (ხერხეულიძე † 1744 წ.) უკანასკნელს უსწავლებია სხვა და სხვა ენები...

ეტყობა სახელოვანი გვარიშვილი ყოფილა ამბროსი, რომ ამისთანა მასწავლებლები ჰყოლია. შემდგომ სწავლის გათავებისა, შედგომილა ბერად და მალეც მიუღია იკორთის წინამძღვრობა. მალე მიანიჭეს მას წილკნის ეპარქია. ეს მოხდა 1778 წ. 9 აპრილს. შემდგომ რამდენიმე წლისა, წილკნის ეპარქიათ, ალაოხრეს ლეკთა და სამუდამოდ დასცეს წილკნის კათედრა. წილკნის ეპისკოპოსიც გადიყვანეს მანგლისის ეპარქიაში 1792 წ. მარტის 1-ლს. შემდეგ, როდესაც იგი გადაიყვანეს ნეკრესში, ხშირად იხსენიებდა თავს წილკნელ-მანგლელ-ნეკრესელად...

ნეკრესში ყოფნის დროს, მან აუშენებია ეკლესია შილდაში, რადგანაც ძველი საკათედრო ტაძარი გაოხრებულ იყო ლეკთაგან და მისი აღდგენა შეუძლებელ იქმნა. თავდაპირველად, ამ ეკლესიას ბევრი რამ ნივთეულობა ჰკლებია საეპისკოპოსო სახლები: ორ-ფოჩიანი და სამფოჩიანი (დიკირი და ტრიკირი) ამის გასაკეთებლად, მეფე ირაკლის შეუწირავს 200 მანეთი, და ამ ფულით, ნეკრესელის დროს, იოანე მუხრანბატონს გაუკეთებინებია თავის ხარჯით საეპისკოპოსო ჯვარის სასანთლე; ახლა ისინი სიონის სობოროში ინახებიან და ეს ცნობები ზედ აწერიათ. (იხ. ქადაგებანი ამბრ. ნეკრ. გვ. 2.) ამბროსი ნეკრესელს ებარა აგრეთვე შილდის სკოლაც. ეს სკოლა ყოფილა რუსების შემოსვლის დროსაც 1806 წელს; მთავრობამ ნეკრესელს მისცა მიტროპოლიტობა, ჯამაგირად დაუნიშნა 1000 მანეთი სიკვდილამდე და სკოლისთვის კიდევ 200 მან. (იხ. Археологич. акты т. 6. გვ. 165) მისი ხანგრძლივი ყოფნა ნეკრესში, ხანგრძლივი შრომა და ღვაწლი იყო ქართველი ერის პოლიტიკურ თავისუფლების დაცვისათვის. ღრმად მოხუცებული მღვდელ-მთავარი სიბერის ჟამსაც კი მუშაობს სამწყსოს კეთილდღეობისთვის, თუმცა კი სიბერემ შეუმოკლა ძალა „ვაჰ, ჩემდა რამეთუ არღარა არს პირველი იგი შემძლებელი ხელი ჩემი, მოხუცობისა და უძლურობისა გამო დანუ შეწირისხავთ უფალნო. 1806 წ. (გვ. 177.) 1808 წელს, იგი ჩამოვიდა ტფილისში და მალე, დასნეულებული აუარებელ ჯაფისაგან გარდაიცვალა. დიდის დიდებით დამარხეს იგი სიონის ტაძარში 1808 წელს...

3.

მისი ქადაგებათა კრებული გამოსცა 1881 წელს ყოვლად-სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზმა ალექსანდრემ. ჩვენ ხელთ გვაქვს მისი ქადაგებანი, ვკითხულობთ და აღტაცებაში მოვდივართ, ყოველს მისს აზრზე, გამოთქმაზე და სიტყვებზე. თითქმის მისს დროიდგან დღევანდლამდე, არ მოგვეპოვება მისთანა მქადაგებელი, გარდა გაბრიელ ეპისკოპოზისა. ის განირჩევა თანამედროვე მქადაგებელთან კიდევ მით, რომ ჰქადაგებს მდაბიურს გასაგონარს ენაზე.

ალ. ხახანაშვილი ამბობს, რომ მისი ქადაგებანი შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: პირველი (3) შეიცავს დოგმატიურს, მეორე (5) ისტორიულ შინაარსის სიტყვას... მისს ქადაგებას აზის დაღი სქოლასტიური ფილოსოფიისა; იოანე ოქროპირის სწავლას გრამმატიკულად არჩევს და ბაუმეისტრის მოსაზრებით ამტკიცებს იდეიების და კატეგორიის აზრს"...

გ. ლეონიძე.

ამერიკა-მექსიკის ომი

(დეპეშები.)

ვაშინგტონი. წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა 500 მილიონის გადადება მექსიკაში მყოფ ამერიკელების სამშობლოში დასაბრუნებლად. ბრაიანი და გერმანიის ელჩი ბერნსტორფი შეთანხმდნენ: გემის „იპირანგას" კაპიტანი, რომელმაც მექსიკაში იარაღის ჩატანით დაიჭირა სამხედრო მოქმედების დაწყება ვერაკრუცში იძულებულია უკანვე დააბრუნოს ბარგი, გამომგზავნთა ხარჯით.

აღდგენილია მიმოსვლა ქალაქ მექსიკასთან, სადაც სრული მშვიდობიანობა სუფევს. მიუხედავად ამისა უცხოელნი სტოვებენ ქალაქს და ვერაკრუცში მიემგზავრებიან. მატარებლებს თანა სდევს ფედერაციის ჯარები.

ვერაკრუცში მყოფი შეერთებული შტატების ელჩი იუწყება დეპეშით, რომ ქალაქში მშვიდობიანობაა.

ვაშინგტონი. მეამბოხეები ტამპიკოს ახლოს შეუერთდნენ ჰუერტას მომხრეებს ამერიკელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ვაშინგტონი. მეამბოხეთა გენერალმა კარრანცამ ვილსონს მიმართა და აწუხარება გამოსთქვა, რომ ამერიკელებმა სამტრო მოქმედება დაიწყეს მექსიკელების წინააღმდეგ, რადგან მექსიკელები ჰუერტას არ სცნობენ და უზურპატორად მიაჩნიათ. ჰუერტას უფლება არა აქვს მოითხოვოს პასუხი ამერიკის ჯარის შესვლისა და ყოფნის გამო ვერაკრუცაში. კარრანცა წინადადებას აძლევს ვილსონს შეაჩეროს მტრული მოქმედება, გასწმინდოს ვერაკრუცა, აუწყოს კონსტიტუციონურ მთავრობას ტამპიკოში მომხდარი ამბები; მთავრობა კი განიხილავს მას მეგობრული და სამართლიანი თვალსაზრისით.

ვაშინგტონი. გენერალ კარანცას ნოტაზე საპასუხოდ ბრაიანი აღნიშნავს, რომ პრეზიდენტი ვილსონი მეგობრულის განწყობილებითაა გამსჭვალული მექსიკელებისადმი. ამიტომ იგი არჩევს ჰუერტას მომხრეებს დანარჩენ მექსიკელებისაგან. პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ კონსტიტუციონალისტები მის მოქმედებას ცუდის მხრით არ შეხედავენ. ამერიკელები არა ჰკიჩრობენ ვერაკრუცის დაჭერის გარდა ახალ მოქმედებას. მიუხედავად ამ პასუხისა ვაშინგტონის მთავრობის ახლო მყოფ წრეებში შესაძლოდ სთვლიან, რომ შეთანხმებული მოქმედება ჰუერტასი და გენ. კარრანცასი სულ სხვანაირად შესცვლის ამერიკის მთავრობის განზრახვას.

წარმომადგენელთა პალატამ მიიღო სამხედრო ბიუჯეტი 100 მილიონ დოლარამდე.

მექსიკის რწმუნებულმა მოითხოვა რომ მას პასპორტები ჩააბარონ.

ვაშინგტონი. გენერალ კარრანცას საპასუხო ნოტაში ბრაიანმა განაცხადა, შეერთებული შტატების მოქმედება მიმართულია მხოლოდ ჰუერტას წინააღმდეგ. მექსიკის ხალხის სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას პატივისცემით მოეპყრობიან. შტატებს არა ჰსურთ მექსიკის ხალხზე გაბატონება, მაგრამ უეჭველად უნდა აიძულონ მთავრობის სათავეში მდგომნი, რათა მათი სამართლიანი მოთხოვნილება შესრულებული იქნას.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

11 აპრილი

უცხოეთი.

სტოკჰოლმი. არჩევნები დასრულდა. პალატაში აირჩიეს 86 მომხრე ეროვნულ თავდაცვისა, წინანდელ 64 ზომიერთა წინააღმდეგ და 71 სტააფის მომხრე წინანდელ 107 ლიბერალის წინააღმდეგ. აგრეთვე 73 სოციალისტი, წინად კი 64 იყო. რეიხსტაგის გახსნა დანიშნულია მაისის მეორე ნახევარში.

ლიბერალური პრესა მაინცა და მაინც არ შეწუხებულა ეხლანდელი დამარცხებით, რომელსაც უმნიშვნელოდ სთვლიან. უმთავრესი სოციალისტური ორგანო ჰფიქრობს, რომ ლიბერალების შესუსტება რეიხსტაგში ანაზღაურებულია სოციალისტების გაძლიერებით და უკანასკნელებს ურჩევს ნუ იქნებიან ჯიუტები, რათა ლიბერალები გალაღებულ მემარჯვენეების ხელში არ გადაჰყარონ.

ბელგრადი. დილით გადაიხადეს სადღესასწაულო პანაშვიდი ალბანელებთან შეტაკების დროს დახოცილ აფიცრების სულის მოსახსენებლად.

ბელგრადი. დასრულდა საბერძნეთ-სერბიის მოლაპარაკება სერბიის ვაჭრობის თავისუფალის გზის შესახებ სალონიკით. შეთანხმებას ათინაში მოაწერენ ხელს.

ათინა. ათინის სააგენტო იტყობინება, გარეშე საქმეთა მინისტრმა ოსმალეთის ელჩთან საუბრის დროს პროტესტი განაცხადა ფრაკიაში საბერძნეთის უნუგეშო მდგომარეობის შესახებ. თანაც დაუმატა რომ ასეთი მდგომარეობა მომავალში ხელს არ შეუწყობს ორივე ერის შორის მეგობრულ განწყობილების დამყარებასაო. სტამბოლში მყოფ საბერძნეთის ელჩს დავალებული აქვს ასეთივე პროტესტი გადასცეს პორტას.

სტამბოლი. ფრაკიიდან ბერძნების გაქცევა სტიქიურ ხასიათს იღებს, გარბიან ქრისტიანები, რომელთაც ოსმალოები სდევნიან. ოსმალეთის ბერძნებში დიდი მღელვარებაა. პატრიარქმა ყველა საელჩოს მემორანდუმი გაუგზავნა, სადაც მოყვანილია ბერძენ მიტროპოლიტების მოხსენება და სთხოვს მათ ბერძნებს გამოესარჩლონ. ფრაკიის სხვა და სხვა ადგილებიდან მოსულ ცნობებით, ოსმალეთის მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რათა ბერძნები აიძულოს დასტოვონ ფრაკიის სოფლები. ოსმალები მათგან მოითხოვენ წინდაწინ მომავალ წლის გადასახადებს და ბეგარას. უმთავრესი მიზეზი ბერძნების გაქცევისა ისაა, რომ მაკედონიიდან 100,000-ზე მეტი მაჰმადიანი ჩამოვიდა ოსმალეთში, რომელიც ძალად გარეკეს ბერძნებმა. ოსმალეთის მთავრობას ჰსურს, ეს მაჰმადიანები ფრაკიაში დაასახლოს. მაჰმადიანები ბერძნების სახლებში ბინავდებიან და უკანასკნელნი იძულებულნი ჰხდებიან ჰკვებონ ისინი. ოსმალელი და ალბანელი ბრბოები ფრაკიაში მოსახლეებს სძარცვავენ, ნახირს სტაცებენ. გაქცეული ბერძნები როდოსტოსაკენ მიეშურებიან. აქედან კი გემებით საბერძნეთისაკენ მიეშურებიან.

სტამბოლი. ოსმალეთის პრესა ბერძნების წინააღმდეგ ილაშქრებს, მიზეზად ფრაკიაში მცხოვრებ ბერძნების ემიგრაციას ასახელებენო. ირწმუნებიან, რომ გაქცევა გამოწვეულია ხელოვნურად საბერძნეთის მთავრობის მიერ, რომელსაც ჰსურს მაკედონიაში ბერძნები დაასახლოს. ბერძნული გაზეთები კი ირწმუნებიან, მაჰმად დამპყრობელის შემდეგ არ მომხდარა ასეთი დევნა ქრისტიანებისაო. ისინი მოითხოვენ ქრისტიანთათვის თანასწორუფლებას კონსტიტუციის ძალით. ყველა ეკლესიაში ფულს აგროვებენ გაქცეულთა სასარგებლოდ.

ტოკიო. სახელმწიფო ბეჭდის შემნახველად ფელდმარშალი თავადი ოიამა დაინიშნა.

ბანგკოკი. ქალაქში ცეცხლი მძვინვარებს. ათასი მცხოვრები უსახლკაროდაა დარჩენილი, ცეცხლმა აუარებელი სახლი იმსხვერპლა.

ციციკარი. ჩინეთის გარნიზონის აფიცრების ერთმა ნაწილმა, რომელიც უკმაყოფილო იყო სამხედრო რეფორმებით, ჯარისკაცებში აჯანყება მოახდინა. გუბერნატორის სამმართველოს სროლა აუტეხეს. მოკლულია ოთხი ჯარისკაცი მცველთაგან. პირველმა პოლკმა უარი სთქვა აჯანყებულთა წინააღმდეგ გალაშქრებაზე. აფიცრები გაიქცნენ, გუბერნატორი და სამმართველოს მოხელენი მიიმალნენ. რუსეთის საელჩოს დასაცავად ამურის ჯარი გაიწვიეს.

ურგა. ცეცანტიუგო ჩინეთის ჯარებმა გაანთავისუფლეს. წასვლის დროს მათ ბანაკი გადასწვეს. კობდოში მონღოლების ჯარი დაითხოვეს.

ურგა. ამ დღეებში დაიწყება მუშაობა საკანონმდებლო დაწესებულებებისა. ზედა პალატას შეადგენენ პირველი და მეორე ხარისხის მოხელენი, ქვედას — საზოგადოებების, მცირე „კომუნების" და „სუმენების" წარმომადგენელნი.

რუსეთი

პეტერბურგი. ქალაქის უფროსმა ადმინისტრატიული წესით ერთი თვით კაცი დააპატიმრა ნება დაურთველ კრებაში მონაწილეობის მიღებისათვის.

ცარიცინი. ვოლგაზე დიდი ქარიშხალია.

თეატრი და ხელოვნება

ორშაბათს, 14 აპრილს, ქართულ თეატრში გაიმართება სალიტერატურო-საკონცერტო საღამო ვ. აბაშიძის, ელ. ჩერქეზიშვილის, ბროჯის, სიხარულიძის და სხვათა მონაწილეობით.

შემოწირულება

არჩილ ჯორჯაძის ფონდის სასარგებლოდ და არა მისი ძეგლისათვის, როგორც გვქონდა მოხსენებული, ს. ქეიშვილმა შემოსწირა ხუთი მანეთი.

რედაქტორი **ნ. ქურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106 **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამით 1 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამ. 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევი** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადამზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 1 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისაკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს 00 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევნისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ. № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7. **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი. ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 31 წ., № 106, **ნარევი**., მეოთხე კლ. ვაგონებით ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4/3 საღამოს 7 საათსა და 00 წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მეორე და მე-3 კლასის ვაგონით.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 **პ. ფომინა-თხიმოვასა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაზლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ნათაძე** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **გ. ა. მარაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ. ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიგის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და ძალაყინის მოედანზე.

ხის კეთილდღეობით წინა სდგანან რუსეთზე, საქმე უკეთეს მდგომარეობაში იყვეს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ რუსეთში ამ მოვლენის მიზეზი დღესავით ნათელია: მცხოვრებთა, როგორც გლეხების, ისე მუშების საერთო გაღატაკება, გაუნათლებლობა, უვიცობა, სიმშილი და ათასგვარი გადამდები სენი, რომელნიც უკვე ძლია დასავლეთ ევროპის ხალხმა. იმ ქვეყნებში, სადაც მრეწველობაა განვითარებული, ბავშვების „მუსვრელი" ხდება მსხვილი კაპიტალი. დასავლეთ სახელმწიფოებში ბავშვები იხოცებიან საერთო, ცხოვრების მძიმე პირობებისაგან, მაგრამ დიდი პროც. ბავშვებისა იხოცება მუშების ოჯახებში რომელთაც ფაბრიკა-ქარხნებში შეუფარებიათ თავი.

რუსეთს მისდევს ავსტრია, სადაც იხოცება ბავშვების 49 პროც. და რომელზედაც პროფესორი ეშერიხი გულის ტკენით ამბობს: „სამწუხაროდ განათლებულ ხალხთა შორის ავსტრია ცნობილია როგორც რუსეთის შემდეგი სახელმწიფო ბავშვთა სიკვდილის მხრივაო".

მრავალშვილიან ოჯახებით ქებულ გერმანიაში უკანასკნელ ექვსი წლის განმავლობაში ბავშვების დაბადებისა და წლამდე სიკვდილის, შემდეგ სურათსა ვხედავთ:

წლები	სულ დაბადებულია კანონიერი	უკანონო
1902	2,089,414	177,083
1903	2,046,206	170,544
1904	2,089,347	175,720
1905	2,048,453	174,494
1906	2,084,739	177,060
1907	2,060,973	179,178
1908	2,076,660	184,112
1909	2,038,357	183,700
1910	1,982,836	179,584
1911	1,927,039	177,056

წლები	დაბადებულა მკვდარი	მომკვდარა კანონიერი	უკანონო
1902	64,679	521,055	49,044
1903	63,128	351,086	53,437
1904	63,500	344,972	52,809
1905	61,300	353,342	54,154
1906	62,262	324,592	50,044
1907	61,040	302,920	28,026
1908	61,608	308,680	50,342
1909	60,079	288,202	47,237
1910	58,058	267,171	44,293
1911	56,300	308,765	50,767

თუმცა მთავრობა და საზოგადოება დიდ ზომებს იღებენ, რომ შეამცირონ ბავშვების სიკვდილი, მაინც ყოველწლივ გერმანიას აკლდება 400,000 ბავშვი. ბავშვები როგორცა ვთქვით, იქ იხოცება მეტი, სადაც მრეწველობაა გაძლიერებული. აქ ბავშვების სიკვდილის % 37—41, 3-მდე ავიდა, უკანასკნელ ხანებში, როცა კაპიტალისტური მეურნეობა სოფელში გადავიდა, იქაც, სოფელშიც იმატა ბავშვების სიკვდილმა.

ბავშვების სიკვდილს ზედ ერთვის მუცლის მოწყვეტა და მკვდარი ბავშვების დაბადება, რაიცა ხელს უწყობს ხალხის რიცხვის შემცირებას.

1000 მცხოვრებზე დაბადებულა მკვდარი ბავშვი:

საფრანგეთში (1901—1905 წ.)	45,2%
შვეიცარიაში (1906) . . .	34,1 „
საქსონიაში (1901—1905) .	33,9 „
პრუსიაში (1901—1905) .	30,8 „
შვეციაში (1902)	25 „

აქაც ჩვენ ვამჩნევთ, რომ ნაკლები ბავშვი კვდება იქ, სადაც მრეწველობა განვითარებული არ არის, ე. ი სადაც ქალი არ ჩაბმულა სამრეწველო მუშაობაში.

მუცლის მოწყვეტა ხომ აღურიცხველია და ამასაც უძველი გავლენა აქვს ხალხის შემცირებაზე. პიროგოვის საზოგადოების უკანასკნელ XII კრებაზე (1913 წ.) მუცლის მოწყვეტას საერთო ყურადღება მიაქციეს. მომხსენებლის სიტყვით მუცლის ხელოვნურად მოწყვეტა ყველა კულტურულ ქვეყნებში უფრო და უფრო ფართე ხასიათს ღებულობს უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში. მაგალ. ნიუ-იორკში (ამერიკა) ერთი წლის განმავლობაში მუცელი წაუხდენია 80,000 ქალს; მუცლის მოწყვეტთა (აბორტის გამკეთებელთა) რიცხვი ყოფილა 500. საფრანგეთში ყოველ წლიწადს მუცელს იხდენს 36,000 დედაკაცი. მუცლის მოწყვეტა ძლიერა ვრცელდება რუსეთშიაც.

როცა მუცლის მოწყვეტაზე ლაპარაკობენ, სახეში აქვთ მხოლოდ მუცლის ხელოვნური მოწყვეტა და ამას აქცევს საზოგადოება თავის „განათლებულ" ყურადღებას. იმას კი უყურადღებოდა სტოვებს, რომ მუცლის ბუნებრივი მოწყვეტა და ნაადრევად შვილის შობა ხშირია და მეტი ბოროტებაც არის. ამ მოვლენას ე. ი. მუცლის ბუნებრივ მოწყვეტას და შვილის ნაადრევად შობას ჩვენა ვხედავთ იმ მუშა-ქალებ შორის, რომელნიც ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობენ. ბადენის საფაბრიკო ინსპექტორის ჩვენებით ფაბრიკაში მომუშავე ქალთა შორის მუცლის ბუნებრივმა მოწყვეტამ ოცი პროცენტით აიწია. მედიცინის ყველა ქვეყნის წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ მუშა-ქალების შორის მუცლის მოწყვეტის ზრდა დამოკიდებულია იმ მძიმე პირობებზე, რომელშიაც უხდებათ მათ მუშაობა. პროფესორი პინარი ამტკიცებს, რომ პარიზში დაბადებულ ბავშვთა მეტი წილი უდღეუროაო. მეორე ცნობილი ჰინეკოლოგი ექიმი შტრასმანი ამბობს, რომ მრეცხავ დედაკაცების 13,2%-ს ნაადრევად სწყდება მუცელი, ხოლო მკერავ ქალებს 5 პროცენტსაო.

ამგვარად ხალხის შემცირებას ხელს უწყობს ერთის მხრივ დაბადებულთა რიცხვის შემცირება და ბავშვების სიკვდილი, მეორეს მხრივ მკვდარ ბავშვების დაბადება. ორივე ეს მოვლენა თანამედროვე საზოგადოებას საშინელ [illegible] უყენებს წინ: შეიძლება დაიღუპოს თვით „მეფე ბუნებისა", თუ საზოგადოებამ რამე არ იღონა იმ არანორმალურ სოციალ-ეკონომიურ უკუღმართობის წინააღმდეგ, რაიცა მთავარი მიზეზია ამ საშინელებისა.

სანგანიძე.

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9
ტელეფონი № 712.

ქალაქის საავადმყოფოები

მიხაილის—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედა (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედევანიძე** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ა. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
7	**ვ. ლ. კიკალიშვილი** (ავლაბარ. კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27.
8—9	**ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (ნიბის ქ., № 23).
10, 11—12	**ა. გ. ტერ-ნიკოღოსოვი** (ხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

ყველა წიგნის მაღაზიაში
ისყიდება
ახალი წიგნი
ქართველი პოეტების
ლექსები, ნათარგმნი ნ ე. მ. (რეჟ-ლო) (აბაშელი, აბაშიძე, ახოსპირელი, ბარათაშვილი, განდ-ლი, გრიშაშვილი, გურიელი, მაყაშვილი, მეგრელი, ვაჟა-ფშაველა, რუხაძე, ა. წერეთელი, ა. და ი. ჭავჭავაძე, ქალდიდელი, შანშიაშვილი, ევდოშვილი და რ. ერისთავი)
ფასი 1 მან. 25 კაპ. 217

ყველგან მოითხოვეთ
„ამაზმორინ"-ი,
უებარი საშუალება ფეხის და სხეულის სხვა ნაწილების ოფლისა
ა. ე. ისააკიანცისა.
ეს ფხვნილი ყოვლად უვნებელია.
საუკეთესო მოწონების ბარათები გვაქვს.
ფასი 20 კ.
საწყობები: ძმ. ტერტეროვების სააფთიაქო საწყობი თ-დ ვორონცოვის ძეგლთან, ან ანტონოვის ქუჩა № 32, არამს. 219

ამხანაგობის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
ვ ი ლ ი თ:
„606" და „914"
11—12 ს. [illegible]
კონსულტაცია.
ზ. ა. ნავახარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავადმ.
ზ. გ. ბაბახანოვი: 1—2 ს. ვეშუთა შინაგანი ავადმყ.
ბ. ა. ხანიხოვი: 10—11 ს. სანზვიო, ქალებისა და ბავშვებისა.
გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ბეგტაბეგოვი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, ბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვი: 1—2 ს. სამშობიარო და ქალების ავადმყ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ბეგტაბეგოვი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ზ. ა. ნავახარდიანი.
1071

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა
გადმოვიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამ, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ახლოს,
საკუთარ სახლში.
ისყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.
1081

ტფილისი, სტამბა „შრომა", მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.